ნაფიც მსაჯულთა შერჩევის მეთოდი ნორვეგიაში

ნაფიც მსაჯულთა შერჩევა ნორვეგიაში დარეგულირებულია სასამართლოების შესახებ კანონით, რომლის მიხედვითაც:[1]

იქმნება ნაფიც მსაჯულთა შერჩევის ორი სია სასამართლოების ყოველ სამოქმედო ტერიტორიულ დანაყოფში. ერთი სია შედგება ქალებისაგან, ხოლო მეორე მამაკაცი მოქალაქეებისაგან. თითოეული სიის წევრთა (ორივე სიაში წევრთა რაოდენობა ტოლია) რაოდენობას განსაზღვრავს უზენაესი სასამართლოს თავჯდომარე. თითოეული სიის რაოდენობა ფორმირებულია ისე, რომ სიაში მყოფ მოქალაქეებს უწევთ წელიწადში ორჯერ ნაფიცი მსაჯულობა.

ნაფიც მსაჯულობის კანდიდატთა სია მტკიცდება მუნიციპალური საბჭოების მიერ ოთხი წლის ვადით. სასამართლოების შესახებ კანონის 67-ე მუხლით სიის შედგენა უნდა მოხდეს დაბალანსებულად და წარმოადგენდეს მოსახლეობის ყველა ფენას. მუნიციპალურმა საბჭომ ხელი უნდა შეუწყოს ადგილობრივ მცხოვრებლებს თავად წარადგინონ ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატები ამორჩევისათვის.

ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა სია სულ მცირე ორი კვირით ადრე უნდა წარედგინოს საზოგადოებას კრიტიკული გახილვისა და შეფასებების მიზნით. კანონის 70-ე მუხლის მიხედვით, კანდიდატებად დაიშვებიან, პირები, რომლებმაც:

- იცის ნორვეგიული ენა დამაკმაყოფილებელ დონეზე
- შერჩევის პერიოდის დასაწყისისათვის უნდა იყოს 21-დან 70 წლამდე
- მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების საქმე
- არ უნდა ქონდეს ჩამორთმეული ხმის მიცემის უფლება
- უნდა იყოს რეგისტრირებული მოცემულ ტერიტორიაზე მაცხოვრებელ რეზიდენტად
- უნდა იყოს რეგისტრირებული, როგორც ნორვეგიის მოქალაქე ან სულ მცირე სამი მიმდევრობითი წლის მანძილზე ცხოვრობდეს ნორვეგიის ტერიტორიზე, არჩევითი სიის შედგენამდე

[1] http://www.domstol.no/en/Enkelt-domstol/Supervisory-Committee-for-Judges/

ის პირები, რომლებიც ვერ გახდებიან ნაფიცი მსაჯულები, კანონის 71-ე მუხლის მიხედვით:

- პარლამენტის წევრები
- მთავრობის წევრები, მინისტრების მოადგილეები, მინისტრების პოლიტიკური მრჩევლები, პრემიერ მინისტრის კაბინეტში მომუშავე პირები
- მოსამართლეები და სასამართლოს თანამშრომლები
- პროკურორები, პროკურატურის თანამშრომელი და სხვა სამართალდამცავი სტრუქტურების თანამშრომლები
- ადვოკატები
- საჯარო მოხლეები და ადგილობრივი თვუითმართველობის ორგანოების თანაშრომლები
- ასევე, ამავე კანონის 72-ე მუხლის მიხედვით, ნაფიცი მსაჯულები ვერ იქნებიან ის პირები, რომლებიც არიან წარსულში ნასამართლევნი. კანონი აწესებს ასევე რიგ სხვა შეზღუდვებს.

ნაფიც მსაჯულთა ჟიური სასამართლოში ჩვეულებრივ შედგება 5 ქალისა და 5 კაცისაგან. თავად შერჩევა ტექნიკურად შედგება რამდენიმე ეტაპისაგან:

16 კანდიდატისაგან შემთხვევით 8 ქალისა და 8 მამაკაცის შერჩევა. ეს შემთხვევითი შერჩევა ხდება საერთო სიიდან, საიდანაც ამოღებულია ის პირები, რომლებიც უკვე სხვა პროცესისათვის არიან შერჩეულნი. თუ საერთო შერჩევის სია არ შეიცავს იმაზე ორ მეტ რაოდენობას, რაც შუალედური შერჩევისათვის უნდა დარჩეს (=32), მაშინ ხდება შერჩევის სიის განახლება.

შემთხვევითი შერჩევა ხორციელდება სპეციალურად შექმნილი კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით. შერჩევის შედეგის აღმწერი ფაილი ინახება როგორც საბუთი, რომელიც ერთვის საქმეს. მოსამართლე, რომელიც უძღვება საქმეს ასევე პასუხისმგებელია სიიდან თავდაპირველი ამორჩევის პროცესზე, ცალკეულ შემთხვევებში ეს მოვალეობა შესაძლებელია დელეგირებულ იქნას სასამართლოს სხვა თანამშრომელზე. უშუალოდ თავდაპირველი შერჩევის პროცესში გამოიყენება კომპიუტერული პროგრამა, რომელიც ინტეგრირებულია საქმის მართვის ელექტრონულ სისტემაში (Lovisa).

თავდაპირველად შერჩეულ კანდიდატებს ეგზავნებათ სასამართლოდან ფოსტით სპეციალური წერილი, რომელშიც ამცნობენ ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატად მისი შერჩევის შესახებ და თხოვენ მიუთითონ იმ გარემოებების შესახებ, არსებობის შემთხვევაში, რაც ხელს შეუშლის მათ ნაფიცი მსაჯულის მოვალოების განხორციელებაში.

შემდეგ ეტაპზე სიიდან ტექნიკური გამორიცხვების შემდეგ რჩება სია მინიმუმ 16 კანდიდატის შემადგენლობით. ამ კანდიდატებს მინიმუმ ერთი დღით ადრე უნდა ეცნობოთ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამართვის შესახებ.

16 კაციანი სიიდან საბოლოო კანდიდატებამდე დაყვანის ეტაპს ესწრება ყველა მხარე, სადაც მონაწილეობს ყველა მხარე და აქვთ შეკითხვების დასმის უფლება.